monoliTi +

საქართველო, თბილისი, შპს „მონოლითი + “ 402192417

№125/28 „23“ ივლისი 2024 წ.

საექსპერტო დასკვნა ქ. თბილისში, იოსებ და ლეონ ორბელების ქუჩა № 64-ში (ს/კ№01.17.10.002.125)-ზე დამუშავებული არსებული სასწავლო დაწესებულების კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული და არქიტექტურული ნაწილებისთვის.

ექსპერტიზისათვის გადმოცემულია ქალაქ თბილისში, ზემოაღნიშნულ მისამართზე, არსებული სარეკონსტრუქციო სკოლის კორექტირებული პროექტის შემდეგი მასალა:

- პროექტის არქიტექტურული ნაწილი, დამუშავებული არქიტექტურული ფირმა შ.პ.ს. ”უნივერსუმ“-ის მიერ ელექტრონული სახაზავი პროგრამა ”ArchiCAD”-ის გამოყენებით. PDF ვერსია.

-პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, კონსტრუქტორ ბადრი ჭამპურიძეს მიერ ელექტრონული სახაზავი პროგრამა ”AutoCAD”-ის გამოყენებით, PDF ვერსიები.

- საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა. ჩატარებული, შ.პ.ს. ”გენგეო”-ს მიერ, 2023 წელს.

კვლევა

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი სარეკონსტრუქციო სკოლის შენობის მზიდი კარკასი კონსტრუქციულად კომპლექსური ნაგებობების ტიპს მიეკუთვნება, რომლის მზიდ ელემენტებს შეადგენენ რკ/ბეტონის ანაკრები ქარხნული წარმოების კონსტრუქციები რკ/ბეტონის მონოლითური ელემენტების

ჩანართებით. შენობა ოთხსართულიანია სარდაფის სართულით. მისი მეორე ნაწილი 2 სართულიანია, მესამე კი 1 სართულიანია. პროექტის მიხედვით, მის ფასადზე ეწყობა შშმ პირებისთვის განკუთვნილი ლიფტის შახტა, რომლის მზიდი კონსტრუქცია გადაწყვეტილია რკ/ბეტონისა (საძირკველი) და ლითონკონსტრუქციების (ძირითადი კარკასი) შეჯერებით.

ჩემს მიერ ვიზუალური შემოწმება ჩაუტარდა აღნიშნულ მისამართზე სასწავლო დაწესებულებას. გადამოწმდა მომიჯნავედ მდებარე შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობა, სამშენებლო სამუშაოებისა და მისი ექსპლუატაციის ხანგრძლივ პერიოდში, მათზე რაიმესახის უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებით.

საპროექტო ტერიტორია ბუნებრივად მოსწორებული რელიეფის მქონეა. მიწის ნაკვეთებზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების მონაცემების თანახმად ტერიტორიაზე საშიში გეოდინამიური პროცესები არ მიმდინარეობს.

კვლევების ანგარიშის მიხედვით საკვლევ უბანზე გამოყოფილია შემდეგი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი:
სგე 1 – ძლიერგამოფიტული ღორღის დონეზე დასული სუბარგალითები და ქვიშაქვები (ფენა 2); რომელიც მიღებულია ფუძეებად შემდეგი ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლებით - სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე Rc=20კგ.ძ/სმ2, სიმკვრივე ρ=2.05გ/სმ3, ხვედრითი შეჭიდულობა C=0,08 კგ.ძ/სმ2; დეფორმაციის მოდული E=300 კგ.ძ/სმ2. კვლევამ აჩვენა, რომ პროექტირებისას დაცულია სნ და წ. პნ 02.01.-08 “შენობებისა და ნაგებობების ფუძე-საძირკვლები” მუხლი 11 თ.6 P ≤ R , (6) სადაც, P საშუალო წნევის მნიშვნელობაა, კპა. R – გრუნტის სიმტკიცე, ფუძის დეფორმაციაზე გაანგარიშების პირობები, რაც გულისხმობს, რომ საშუალო წნევა საძირკვლის ძირზე უნდა იყოს ნაკლები, ან ტოლი ფუძის საანგარიშო წინააღობაზე.

მოცემულ შემთხვევაში შენობის წონისგან გამოწვეული მაქსიმალური ძაბვა ფუძეში Rz=0.2 კგ.ძ/სმ2, რაც ნაკლებია (100-ჯერ) ფუძის გრუნტის საანგარიშო წინაღობვა - Rc=20კგ.ძ/სმ2, ე.ი პირობა დაკმაყოფილებულია. რაც ნიშნავს, რომ შენარჩუნებულია ფუძის მდგრადობა, ფაქტიურად წარმოქმნილია უკუმშვადი ფუძე. მისი დეფორმაციული მოვლენები მოსალოდნელი არ არის, რაც

თავისთავად გამორიცხავს შენობიდან ნებისმიერი მანძილით დაშორებული - მიმდებარედ/მომიჯნავედ მდებარე ობიექტებზე, შენობიდან რაიმე სახის უარყოფით ზემოქმედებას, როგორც სამშენებლო პროცესში, ასევე მისი ხანგრძლივი ექსპლუატაციის პერიოდში.

კორექტირებული პროექტის მიხედვით ფასადზე პირველი სართულის დონეზე საბავშვო ბაღის ნაწილის მონაკვეთში არსებული ფანჯრის ღიობებს ეხსნებათ ქვედა, არამზიდი ზღუდარები, რის შედაგადაც იქ ეწყობა კარის ღიობები, სულ 8 გასასვლელი. სამ გასასვლელ კართან ფასად 13-16-ის ღერძებში მოეწყობა ლითონის ბაქანი სამი საფეხურით. ეს ბაქანი წარმოადგენს ლითონის მსუბუქ კონსტრუქციას, რომელსაც არ გააჩნია საძირკველი. მისი მონტაჟი მოხდება პირდაპირ შენობის არსებულ ტროტუარზე.

დასკვნა

კორექტირებული პროექტის მიხედვით არსებული სასწავლო დაწესებულების შენობაზე ჩასატარებელი საამშენებლო სამუშაოები მასზე ზეგავლენას არ მოახდენს.

მიწის ნაკვეთი მდგრადი გეომორფოლოგიური შემადგენლობისაა და დამატებითი ღონისძიებების გატარებას მშენებლობის პერიოდში არ საჭიროებენ.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, საპროექტო შენობის სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას ცალსახად დადებით რეკომენდაციას ვაძლევ.

პროექტის კონსტრუქციული ელემენტები შერჩეულია საანგარიშო მოდელის დაძაბულ - დეფორმირებული მდგომარეობის საფუძველზე, ისინი აკმაყოფილებენ მდგრადობისა, სიმტკიცისა და დეფორმაციის შესაბამისი ნორმატიული კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

გამომდინარე აქედან, პროექტს დასამტკიცებლად ეძლევა ერთმნიშვნელოვნად დადებითი შეფასება. პროექტი შედგენილია დღეისათვის მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების საფუძველზე. ჩასატარებელი სამუშაოები თვისობრივად

წარმოადგენენ მსუბუქი ტიპის სამუშაოებს გამომდინარე აქედან არსებული სკოლის შენობაზე უარყოფითად არ იმოქმედებენ.

სამშენებლო სამუშაოები ჩატარდეს ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად.

შ.პ.ს. ”მონოლითი+”-ს /გ. იაშვილი/
დირექტორი.



მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/

საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს.„მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

პირადი მონაცემები (CV).

მე მალხაზ (მიხეილ) ივანეს ძე საველიძე დავიბადე ქალაქ ბათუმში 1962 წლის 22 ნოემბერს. 1966 წლიდან ვცხოვრობ ქალაქ თბილისში. 1979 წელს დავამთავრე ქ. თბილისის №77-ე საშუალო სკოლა. 1980წელს ჩავაბარე მისაღები გამოცდები საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (სპი) სატრანსპორტო ფაკულტეტზე სპეციალობით ხიდები და გვირაბები. პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1985 წელს განაწილებით მოვხვდი საპროექტო ინსტიტუტ „საქსახპროექტი“-ს (ამჟამად ამ შენობაში განთავსებულია კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო) პირველ არქიტექტურულ-სამშენებლო განყოფილებაში. ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში (1985-1987 წლის სექტემბერი) მონაწილეობა მივიღე მრავალი სამრეწველო შენობის დაპროექტებაში. 1987წლის სექტემბრიდან 2005წლამდე ვმუშაობდი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. ზავრიევის სახელობის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის სამეცნიერო ინსტიტუტში, გამოყენებითი დრეკადობის თეორიის განყოფილებაში. ინსტიტუტში მუშაობის წლებში გამოქვეყნებული მაქვს სამეცნიერო სტატიები გარსული ტიპის გადახურვებში 1990 წელს დავაფუძნე საპროექტო ორგანიზაცია, კოოპერატივი „ხუროთმოძღვარი“ სადაც ვმუშაბდი მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე. 2005 წლიდან ორგანიზაცია იწოდება შ.პ.ს. ”მონოლითი”, სადაც დღემდე ვმუშაობ მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე. ორგანიზაციის ფაქტიური მისამართია ქ. თბილისი, ისნის რაიონი, გელათის ქუჩა №7 (საპრეზიდენტო რეზიდენციასთან ახლოს) ტელეფონი: 277-45-84.

განვლილი წლების განმავლობაში შ.პ.ს. ”მონოლითი”-ში ჩემი ხელმძღვნელობით დაპროექტებული და აშენებულია მრავალი სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულების მქონე (სამრეწველო, სამოქალაქო, საზოგადოებრივი და ხელოვნური) ობიექტები, როგორც ქალაქ თბილისის, ისე საქართველოს დანარჩენ რეგიონებში და საზღვარგარეთის ქვეყნებში.

მოვიყვანთ შესრულებული სამუშაოების მცირე ჩამონათვალს:

- ალუმინის მეორადი გადამუშავების ქარხნის რეკონსტრუქცია ქ. რუსთავში. 1987 წ.
- ქ. რუსთავის ცენტრალური კინოთეატრის რეკონსტრუქცია. 2000 წ.
- მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსები ქ. თბილისში (დამკვეთები: შ.პ.ს. ”ცენტრ-პოინტი”; შ.პ.ს. ”საბა+”; შ.პ.ს. ”მოდული”; შ.პ.ს. ”D+”). 1997-2008 წწ.

- საინვესტიციო ჯგუფი ”ტიფლისი”.
- მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური საცხოვრებელი შენობები ქ. თბილისში, ქ. ბათუმში, ქ. ქობულეთში.
- მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრი ქ. თბილისში, ცაბაძის ქ. №8-ში. (საქართველო-ისრაელის ერთობლივი პროექტი). 2008 წ.
- კოჭური ხიდი ქ. თბილისის ბოტანიკურ ბაღში. 1995-1996 წწ.
- საყრდენი კედელი ქ. თბილისში. (მოსკოვის ქუჩა; ტაბიძის ქუჩა) 1997 წ. 2001 წ.
- სპორტის სასახლე ქ. ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირზე. 2007 წ.
- რკინიგზის სადგური ქ. თბილისში, აეროპორტის ტერიტორიაზე. 2007 წ.
- საზკვების კომპლექსები ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე. ”წისქვილი”; ”თაღლაურა”; ”ლაკადა”
- ქ. ფოთის ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარი.
- სასტუმრო ქ. ქუთაისში. (რუსთაველის ქ. №5-ში). 2008 წ.
- ანგარი ავიაკომპანია ”აირზენა”-სათვის ბოინგი 737/500 ტიპის თვითმფრინავების დასაყენებლად. 2001 წ.
- ნავთობპროდუქტების შესანახი ბაზა ავიაკომპანია ”აირზენა”-ს საჭიროებისათვის ქ. თბილისში, აეროპორტის ტერიტორიაზე. 2002 წ.
- ავიაკომპანია ”აირზენა”-ს თვითმფრინავების მგზავრთა კვებისა და მომსახურებისათვის საჭირო შენობა ქ. თბილისში, აეროპორტის ტერიტორიაზე. 2002 წ.
- ღვინის ქარხნები, ყვარელში, სოფ. აკურაში, წინანდალში. 1998-2002 წწ.
- საცხოვრებელი კომპლექსი, ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირი №78.
- ”ცენტრ-პოინტი”-ს აცხოვრებელი კომპლექსი, ქ. თბილისში, დიდი დიღმის ტერიტორიაზე.
- ყინულის საციგურაო მოედნის კომპლექსის (საბურთალო) რეკონსტრუქცია.
- ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის რეკონსტრუქცია, ყვარელში. 2009 წ.
- ქართული კულტურის ცენტრის შენობა ქ. ბაქოში.
- მრავალფუნქციული კომპლექსი ქ. დნეპროპეტროვსკში 2009 წ.
- მუსტაფა ქემალ ათათურქის ქანდაკების კონსტრუქცია (სიმაღლით 29მ.) თურქეთში, ქალაქ ართვინში
- მრავალი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.
- ძაღლსაშენი კომპლექსი მაკედონიაში, ქ. სკოპლე.

- ქ. თბილისის ძველი უბნების დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღდგენა-გაძლიერება.

- ყოფილი ”ბერიკონი”-ს შენობა ”მშვიდობის” ხიდთან (კაზინო ”შანგრილა”) 2011 წ.
- საექსპერტო-ტექნიკური დასკვნები შ.პ.ს. „სოკარ“-ის ობიექტებზე. 2013წ.
- ოლიმპიური სოფლელი ქ. თბილისში. ვარკეთილის დასახლება IVმ/რ-ნი. 2013წ.
- მრავალბინიანი, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი ერისთავის ქ.№2 თბილისი 2013წ.

მრავალბინიანი, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი ქ. ქუთაისში. წერეთლის გამზირი №184 . 2014წ.

- ქ. თბილისი. სოფ. დიღომი. მრავალსართულიანი სავაჭრო-საოფისე შენობა. 2014წ.
- მრავალბინიანი, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი ქ. თბილისში. 26 მაისის სახელობის ნოედნის მიმდებარედ. 2014წ.
- მრავალბინიანი, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი ქ. თბილისში. ბერბუთიქ. №1;5;5ა. 2015წ
- სასტუმრო ქ. ქუთაისში. გრიშაშვილის ქ.№1-ში (თეთრი ხიდის მიმდებარედ) 2016წ.

- მრავალბინიანი, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი ქ. თბილისში. 26 მაისის სახელობის ნოედნის მიმდებარედ. 2014წ.

- შ.პ.ს. „ნიუ ჰოსპიტალს“-ის მრავალსართულიანი სამედიცინო შენობები. კრწანისის ქ.№17. 2017წ.

- შანდორ პეტეფის ქ.№42. 25 სართულიანი საცხოვრებელი სახლი. 2018წ.

- სასტუმრო კომპლექსი გუდაურში 2018წ.

- სასტუმრო კომპლექსი გუდაურში 2019წ. ქ. თბილისში. ცურტაველის ქ№5.

ცალკე აღსანიშნავია სავარიული ნაგებობების აღდგენა-გამაგრებითი საპროექტო სამუშაოები.

ქ. თბილისში დაზიანებული საცხოვრებელი სახლები, სკოლები, ბაგა-ბაღები, საავადმყოფოები, სპორტული, ისტორიული მნიშვნელობის შენობები;

რომელთა კვლევის და საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების შემდეგ, აქტიური საავტორო ზედამხედველობის პირობებში შესაძლებელი გახდა მრავალი ნაგებობის გადარჩენა და შემდგომი უსაფრთხო ექსპლოატაცია.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე.
599156649/

მობილური ტელეფონი: 599. 15-66-49.


Georgia
IDENTITY CARD
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
მიხეილ
MIKHEIL
გვარი / LAST NAME
საველიძე
SAVELIDZE
მოქ. / CIT
GEO
სქესი / SEX
მმ / M
პირადი No / PERSONAL No
01011042590
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
22.11.1962
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
06.04.2025
ბარათის No / CARD No
13IG75311
ხელმოწერა
SIGNATURE


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
ბათუმი
BATUMI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
06.04.2015
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2014
სფს-ს რეგისტრაციის No 26-3184
IDGE013IG75311701011042590<<<<
6211224M2504063GE0<<<<<<<<<<<7
SAVELIDZE<<MIKHEIL<<<<<<<<<<<

დიპლომი

КВ № 153475

ეს დიპლომი მიეცა მიხეილ
ივანეს ძე სავგულაძეს
მასზე, რომ იგი 1980 წელს შევიდა
საქართველოს ჭ.ი.ლენინის სახელობის
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1985წელს დაამთავრა
ყოფილ
ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით ნავთობი და
გაზობრივი

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1985 წ.
„29" ივნისის გადაწყვეტილებით
ქ.ი. სავგულაძეს მიენიჭა ინჟინერ-
მექანიკოსის
კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1986წ. „31" XII

სარეგისტრაციო № 4810

Грузинский яз.

ДИПЛОМ

КВ № 153475

Настоящий диплом выдан Савелидзе
Михаилу Ивановичу
в том, что он в 1980 году поступил
в Грузинский политехнический
институт им. В.И. Ленина
и в 1985 году окончил полный курс
названного
института
по специальности нефтяной инженер

Решением Государственной экзаменационной
комиссии от „29" июня 1985 г.
Савелидзе М.И.
присвоена квалификация инженера
строителя

Председатель Государственной
экзаменационной комиссии

Ректор

М. П.

Город Тбилиси „31" XII 1986 г.

Регистрационный № 4810

Московская типография Гознака, 1982.

KA020180320865218

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0108 თბილისი, ჭოველიძის ქ. №10ª (ყოფილი ბელინსკი)
10ª, Chovelidze str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05
Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 11/1557

26 / თებერვალი / 2018 წ.

ბ-ნ მიხეილ საველიძეს (პ/ნ 01011042590)
მის: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი კორპუსი
№36„3", ბინა №12

ბატონ მიხეილ,

თქვენს 2018 წლის 23 თებერვალის განცხადებაზე პასუხად გაცნობებთ, რომ ბ-ნი მიხეილ საველიძე (პ/ნ 01011042590) სამინისტროს მიერ შეთანხმებულია განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების არსებული შენობა-ნაგებობის საექსპერტო შეფასების განსახორციელებლად.

პატივისცემით,

სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო
პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

ნინო გვენცაძე